| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | X | |

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ კონსულტაცია აკადემიურ/მოწვეულ/სამეცნიერო პერსონალთან, ამისთვის გამოყოფილია კონკრეტული საათები.
- უნივერსიტეტში არსებობს ინფორმირების ელექტრონული სერვისები. გარდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა, აქტიურად გამოიყენება კორპორაციული ფოსტა.
- უნივერსიტეტში აქტიურად ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისები, როგორიცაა: სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობა; სტუდენტთა ომბუდსმენი; სტუდენტთა ფსიქოთერაპევტი. სტუდენტებს საკონსულტაციო მომსახურების მიღების საშუალება აქვთ ცენტრალური ბიბლიოთეკის მიმღებში.
- უნივერსიტეტში აქტიურად ფუნქციონირებს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც მუდმივად ახორციელებს შრომის ბაზარზე ვაკანსიების მონიტორინგს და პოტენციური დამსაქმებლების მოზიდვას. მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების პროფესიით დასაქმების დაბალი მაჩვენებელი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- საგნების სილაბუსები;
- ვიზიტის დროს ბიბლიოთეკის დათვალიერება;

| |
|---|
| ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;<br>○ გასაუბრება ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. |
| **რეკომენდაციები- არ არის**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ წარმოდგენილი მემორანდუმების ფარგლებში უცხოურ უნივერსიტეტებთან საერთო ღონისძიებების ჩატარება და მოცემული პროგრამის სტუდენტთა უფრო აქტიურად ჩართვა.<br>○ მეტი პოტენციური დამსაქმებლის მოზიდვა და მოცემული პროგრამის სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების მეტი ხელშეწყობა უნივერსიტეტის მხრიდან. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ აწსუ-ს სამსახურებისა და დეპარტამენტების ერთ-ერთ სერვისს წარმოადგენს სტუდენტთა სტაჟირების პროგრამა, რომელიც 2014 წლიდან ხორციელდება საჯარო უწყებებში სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის ფარგლებში. სტაჟირების პროგრამა გაიარა 2-მა სტუდენტმა, ორივე მათგანი სტაჟირების ადგილზე დასაქმდა. |
| **შეფასება**<br><br>გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
|---|
| მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. |

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
| --- |
| ○ მაგისტრანტებს ჰყავთ შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელები, რომლებიც სტუდენტს ეხმარებიან სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევაა და მოკლე გეგმის შემუშავებაში. ამასთან, ნაშრომის შესრულებისას უწევენ პერიოდულ მონიტორინგს.<br>○ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებად შერჩეულია სტუდენტის მიერ არჩეული თემატიკის შესაბამისი კომპეტენციების აკადემიური პერსონალი, რომელსაც აქვს დიდი გამოცდილება შესაბამის სფეროში.<br>○ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების, თემატიკის და რეცენზენტების დამტკიცებას ახდენს ფაკულტეტის საბჭო და უნივერსიტეტის რექტორი.<br>○ მიუხედავად იმისა, რომ კურსდამთავრებულებს აქვთ დაცული სამაგისტრო ნაშრომი, იკვეთება პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობა.<br>○ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები დამაკმაყოფილებელია, თუმცა ზოგიერთ მათგანში ლიტერატურა არ არის მითითებული სრულფასოვნად. (მხოლოდ ნაშრომის ბოლოს არის ჩამოთვლილი ლიტერატურა, ხოლო ტექსტიდან ზოგიერთ ამ ჩამოთვლილ წყაროზე მიმართებები არ არის.) |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები |
| ○ თვითშეფასების დოკუმენტი;<br>○ სამეცნიერო ხელმძღვანელების CV-ები;<br>○ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი;<br>○ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები;<br>○ გასაუბრება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან და კურსდამთავრებულებთან. |
| რეკომენდაციები: |
| ○ სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკული ნაწილის გაძლიერება. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| ○ სამაგისტრო ნაშრომის ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილზე მეტი ყურადღების გამახვილება. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| |

| |
|---|
| ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო |

| |
|---|
| პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>• სტუდენტების სწავლების პროცესსა და კვლევით კომპონენტშიში მონაწილეობს 3 პროფესორი, 10 ასოცირებული პროფესორი, 2 მასწავლებელი - სულ 15 აკადემიური პერსონალი. პროგრამას, ასევე, ემსახურება დამხმარე პერსონალი ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციაში კომპიუტერულ ცენტრებში დასაქმებული ადამიანები, რომლებიც თავის საქმიანობას კომპეტენტურად ასრულებენ. დამხმარე პერსონალის უფლება-მოვალეობანი სამსახურების შესაბამისი დებულებებით გაწერილია უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად. პროგრამას ხელმძრვანელობენ ტ.მ.დ პროფესორი მანანა ქარჩავა და ტმ.კ ასოცირებული პროფესორი მაყვალა ფრუიძე. ორივე ხელმძრვანელი კომპეტენტურია თავის საქმიანობაში, მათ აქვთ პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, აქტიურად მონაწილეობენ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებში. მათი ავტორობით გამოქვეყნებულია სამეცნიერო სტატიები და სახელმძღვანელოები, ისინი მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით შესრულებულია 4 ფუნდამენტური და 2 გამოყენებითი საგრანტო პროექტი. აკადემიური პერსონალი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სტაჟირებისა და სამეცნიერო კვლევების შესრულებისათვის პერიოდულად მივლინებული იყვნენ საზღვარგარეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში.<br>○ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და ფლობს კომპეტენციას სწავლის შედეგების მისაღწევად.<br>○ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან საკმაოდ მაღალია (15/1), რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. თუმცა, სასურველია, მოწვეული პერსონალის რაოდენობა გაიზარდოს.<br>○ აკადემიური და და მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში 0-ის ტოლია. არ ჩანს ახალგაზრდა კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის მექანიზმი და სურვილი.<br>○ პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ამასთან, მაქსიმალურად ჩართულები არიან ცალკეული საგნების სილაბუსების შემუშავებასა და რედაქტირებაში. |

| |
|---|
| ○ სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციისა მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების დოკუმენტი;<br>○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები;<br>○ საგნების სილაბუსები;<br>○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. |
| **რეკომენდაციები: არ არის**<br><br>○ |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ შეიქმნას ეფექტური მექანიზმი ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოსაზიდად. გაძლიერდეს ინგლისური ენის სწავლება;<br>○ უცხოელი პროფესორების დროებით მოწვევა და სწავლების პროცესში ჩართვა მემორანდუმების ფარგლებში;<br>○ მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u><br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება** |
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br>• აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგებში, სემინარებში, პროფესიულ და ხარისხის უზრუნველყოფის დარგობრივ ღონისძიებებში. მაგალითად ისინი მონაწილეობდნენ კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის მიერ ორგანიზებულ სემინარში თემაზე: "ზრდასრულთა სწავლების მეთოდები" და აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სემინარში - საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, შეფასების, გაუმჯობესების და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშების მომზადების შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსტეტის UNIVERSITY OF IDAHO-EXTENSION AND TECHHELP მიერ ჩატარებული სემინარში თემაზე: „საკვები პროდუქტების უსაფრთხოება და HACCP". 2017 წელს დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ცირა ხუციძე შემოქმედებითი მივლინებით (1 თვით) იმყოფებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მიკრობიოლოგიის ლაბორატოიაში, სადაც ის დაეუფლა საკვები პროდუქტების მიკრობიოლოგიური კონტროლის თანამედროვე მეთოდებს.<br>• უცხო ენების უკეთესად შესასწავლად უსდ-ში აკადემიური პერსონალისათვის მოქმედებს უცხო ენის შემსწავლელი კურსები.<br>○ უსდ-ში რეგულარულად ხდება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა ელექტრონული ფორმატით.<br>○ აკადემიური პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის მონიტორინგი ხორციელდება ურთიერთდასწრების მექანიზმით. გარდა მონიტორინგისა, ეს მეთოდი საშუალებას იძლევა საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაზიარებისა და განვითარების შესაძლებლობას.<br>○ უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალის პროფესიულ განვითარებას, ისინი მონაწილეობას იღებენ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ტრენინგებში, პროექტებსა თუ კონფერენციებში. |

- აკადემიური პერსონალი აქტიურადაა ჩართული სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში, საგრანტო პროექტების ფარგლებში.
- მიუხედავად აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის მაღალი კომპეტენციისა, უცხოურ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები არ გვხვდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- აკადემიური პერსონალის CV-ები;
- „საკვები პროდუქტების ტექნოლოგიების“ დეპარტამენტის კვლევითი პროფილი;
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ძირითად და მოწვეულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები**

უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნება.

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არ არის**

- 

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად ეწევა კვლევით და სამეცნიერო საქმიანობას - საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებულია 73 სამეცნიერო სტატია, ხოლო საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენილია 201 მოხსენება.
- 2006 წლიდან პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით 6, ხოლო აწსუ-ს დაფინანსებით -1 სამეცნიერო საგრანტო პროექტი.

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 4.3 მატერიალური რესურსი |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები აღჭურვილია სასწავლო და კვლევითი საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელებისთვის;<br>○ ლაბორატორიული აღჭურვილობები უმეტესად თანამედროვეა, აკმაყოფილებს მოთხოვნებს როგორც ხარისხობრივად, ასევე რაოდენობრივად, ვინაიდან მაგისტრატურის სტუდენტების რაოდენობა მცირეა.<br>○ უსდ პროგრამის კვლევითი კომპონენტის განხორციელებისათვის ადგილობრივ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან ერთად იყენებს სხვადასხვა სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებისა და საწარმოო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზებს, შესაბამისი ხელშეკრულებების ფარგლებში.<br>○ სტუდენტებს ემსახურება როგორც ფაკულტეტის, ასევე ცენტრალური ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა სათანადოდაა აღჭურვილი, თუმცა, ყველა წიგნი არ არის ერთ სივრცეში ხელმისაწვდომი, ვინაიდან წიგნები გაბნეულია სხვადასხვა კორპუსის ბიბლიოთეკებში. ამასთან, სილაბუსში მითითებული ყველა წიგნი არ მოიპოვება ერთდროულად ორივე, ბეჭდური და ელექტრონული სახით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების დოკუმენტი;<br>○ ვიზიტის დროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;<br>○ მოწოდებული ინვენტარის ჩამონათვალი;<br>○ გაფორმებული მემორანდუმები;<br>○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| ○ ყველა სილაბუსში მითითებული ლიტერატურის ერთ სივრცეში თავმოყრა (როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით), სადაც სტუდენტი უფრო მარტივად შეძლებს მისთვის საჭირო ნებისმიერი ლიტერატურის უპრობლემოდ მიღებას. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის : არ არის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მოხდა პურ-ფუნთუშეულის და ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის საწარმოო-კვლევითი ლაბორატორიის მატერიალური ბაზის გაფართოება;<br>○ შეიქმნა ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების საწარმოო-კვლევითი ლაბორატორია;<br>○ შეივსო და განახლდა საკვები პროდუქტების მიკრობიოლოგიის ლაბორატორიული ბაზა;<br>○ გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა სასწავლო, სამეცნიერო ცენტრებთან და ორგანიზაციებთან. |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>**☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- ბიუჯეტის შედგენისას ხარჯი გათვლილია ერთ ჯგუფზე, რომლის მოცულობის დაზუსტება ხდება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ წლის დასაწყისში, საბიუჯეტო განაცხადებში ასახვის გზით.
- თითოეულ ჯგუფში სტუდენტების ოპტიმალური რაოდენობა დგინდება ხარჯების გათვალისწინებით, მოცემულ პროგრამაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ პროგრამაზე მიღებული მაგისტრანტების რაოდენობას გადაეჭარბებინა ამ დადგენილი ოპტიმალური რაოდენობისთვის.
- ბიუჯეტში გამოყოფილია რისკებისა და გაუთვალისწინებელი შემთხვევების ხარჯი, რომელიც სრული ხარჯის 10%-ს შეადგენს.
- ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი მიდის აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასებზე, ხოლო ინფრასტრუქტურისა და სახარჯი მასალებისთვის რჩება საკმაოდ მცირე თანხა. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში აღჭურვილობების შეძენა ხდება ფაკულტეტის საერთო ბიუჯეტიდან. ამასთან, საჭირო აპარატურისა და ლაბორატორიული აღჭურვილობების შეძენა უმეტესად ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული კვლევითი და სამეცნიერო ლაბორატორიების მიერ მოპოვებული გრანტების ფარგლებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დადგენილება #175, პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.

**რეკომენდაციები: არ არის**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - არ არის**

- 

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
|---|
| ○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | X | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, რომელიც ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის გამართულობას და ეფექტურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.
სწორად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის ძირითადი მიზნები, რაც მთლიანობაში მოიცავს, როგორც უნივერსიტეტის ისე ფაკულტეტის შიდა ხარისხის შეფასებას, რომელიც ეფუძნება:
საგანმანათლებო პროგრამების ხარისხის ხარისხის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას;
კვლევის განვითარების პოლიტიკას
მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკას.
უნივერსიტეტში დანერგია გამოკითხვის ელექტრონული სისტემა, სადაც ხელმისაწვდომია გამოკითხვის ფორმები. პერიოდულად ხდება აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, დამსაქმებლების გამოკითხვა.
დანერგილია ანგარიშგების სისტემა, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების პრინციპები, პროგრამების შემუშავება და წარდგენა, არსებული პროგრამების განახლება
პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების სამუშაო ჯგუფში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.
უნივერსტეტი სთავაზობს ტრენინგებს აკადემიურ პერსონალს.
ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა სუსტი მხარე: არ იცნობენ საბონუსე სისტემას. ასევე მცირეა გარედან მოწვეული პედაგოგების რაოდენობა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამა და თანდართული დოკუმენტაცია;
- ინტერვიუ

რეკომენდაციები: არ არის

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის- პერსონალი გაეცნოს საბონუსე სიტემას და გაიზარდოს მოწვეული პედაგოგების რაოდენობა.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამის ფარგლებში გარე შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის ფარგლებში;
- უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან და პერიოდულად აგზავნის აკადემიურ პერსონალს ტრენინგებზე .
- ვიზიტის დროს გამოიკვეთა სუსტი მხარე- არ არის მჭიდრო კავშირი დამსაქმებლსა და პროგრამას შორის, რაც აისახება პროგრამის ხარისხზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგმარა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ

**რეკომენდაციები:**

**გაძლიერდეს კავშირები დამსაქმებლებთან**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გარე ხარისხის შეფასების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, კარგი იქნება საერთაშორისო გამოხმაურებების /შეფასებების ჩართვა

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში დანერგილია სათანადო ღონისძიებების განხორციელების პრაქტიკა, რათა ეფექტურად მოხდეს პროგრამის მონიტორინგი, ხარვეზების გამოვლენა და სათანადო რეაგირება, პროგრამის გაუმჯობესება (EP-QA 1.3). სტუდენტებისა და პროფესორების აზრის გასაგებად ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულია სპეციალური კითხვარები. გამოკითხვის სახე, ფორმა და კითხვარები განიხილება და მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ; დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას წარმართავს პროგრამის ხელმძღვანელი; გამოკითხვის შედეგებს აანალიზებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკითხვის შედეგების ანალიზს (დადგენილი პერიოდულობითა და ვადებით) უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამის დეპარტამენტს. უნივერსიტეტის მასშტაბით პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში გამოკითხვების კომპონენტს ხელმძღვანელობენ პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუველყოფის სამსახური. პროცესში ჩართულია, როგორც შიდა ისე გარედან მოწვეული დაინტერესებული მხარეები. პროგრამის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება პერიოდულად, შესაბამისი ელექტრონული კითხვარების გამოყენებით. პროგრამის მონიტორინგის ინდიკატორები წინასწარ არის განსაზღვრული, რაც ეფუძნება უნივერსიტეტის მონიტორინგის ინდიკატორებს.

მიუხედავად ზემოთქმულისა , ნაკლები პრაქტიკაა პროგრამის შედარებითი ანალიზის საერთაშორისოდ აღიარებული უნივერსტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, აღნიშნული პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კითხვარები, ოქმები;
- ინტერვიუ

რეკომენდაციები: არ არის

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -არ არის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | X | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | X | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | X | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ლევან გულუა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ სანიკიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ ხატისაშვილი